განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი, 26.12.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწმიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანია საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელსაც ექნება უნარი ბიზნესის სფეროში წარმართოს მმართველობითი საქმიანობა თანამედროვე ცოდნისა და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით.

ბიზნესისა ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, მათ შორის ზოგადი საგნების კურსი - 52 კრედიტი; საბაზისო - სავალდებულო საგნები - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის საგნები - 112 კრედიტი; არჩევითი სავალდებულო საგნები - 16 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26 დეკემბერს.ვიზიტამდე, 25 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, მერაბ ხოხობაია, მაია ჭინჭარაშვილი და ნიკა კიკნაძე) და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

26 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #65/ნ 26[1]-ე და 27-მუხლის) გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა,

რომ 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 2.2, 2.3, 2.5 და 2.6 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა, 4.2 და 5.1 კომპონენტები მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რუკა და სამიზნე ნიშნულები.
  - რეკომენდირებულია მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნის კორექტირება;
  - რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს მცირე ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების ,,კორპორაციული ფინანსებისა და პროექტის მენეჯმენტის დამატებით", ხოლო სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის" გადატანილ იქნას სავალდებულო ბლოკში.
  - რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის კორექტირება სპორტის სფეროსადმი დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.
  - რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მოდიფიკაცია, კვლევის მეთოდების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებით.
  - რეკომენდირებულია გაძლიერდეს ზოგიერთ სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება.
  - რეკომენდებულია, სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია და განემარტოთ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
  - რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, შეფასების კონკრეტული მეთოდები განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკისა და გამოყენებული სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებიდან გამომდინარე, რომელთა შეფასების კრიტერიუმები იქნება ნათელი და გაწერილი სილაბუსში;
  - რეკომენდებულია, ზოგიერთი საგნის შეფასების კომპონენტების დაზუსტება.
  - რეკომენდებულია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
  - რეკომენდებულია შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
  - რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელოს ღონისძიებები აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის გაძლიერების მიზნით.
  - შიდა ხარისხის ეფექტიანად უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია სტუდენტთა გამოკითხვა განხორციელდეს ელექტრონულად, რაც ხელს შეუწყობს როგორც ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების დაჩქარებას, ასევე, გადაწყვეტილებების დროულად მიღების პროცესს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავების პროცესში.
  - სასურველია სწავლების პროცესში უფრო მეტი პრაქტიკული ელემენტების შემოტანის მიზნით აკადემიური პერსონალის გადამზადება, სადაც გამახვილებული იქნება ყურადღება პრაქტიკულ კომპონენტებზე.
  - სასურველია ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობის აღრიცხვის ფუნქციის რეალიზება არსებულ ელექტრონულ სისტემაში, რაც ჩაანაცვლებს შესაბამის სააღრიცხვო ბარათებს.
  - სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით მოხდეს არსებული კითხვარების გადახედვა და დახვეწა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ -ის მისიაა ევროპული განათლების დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა და ორიენტირებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებაზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგის მრავალმხრივი მიმართულებით. სასწავლო უნივერსიტეტი, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების საფუძველზე, აყალიბებს სტუდენტებში პროფესიულ უნარ-ჩვევებს და თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენების გზით, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას და შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური, ღრმა კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. მისიიდან გამომდინარე ფორმირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზანი - საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელსაც ექნება უნარი ბიზნესის სფეროში წარმართოს მმართველობითი საქმიანობა თანამდეროვე და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე და რეალისტურია, ვინაიდან მიზნის მისაღწევად, ინსტიტუციას გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები. გარდა ამისა, მიზნის ფორმულირებისას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ასევე აღნიშნავს, რომ შეუძლია საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება. თუმცა, ბუნდოვანია ამ მიზნის მიღწევის მექანიზმი გამომდინარე იქიდან, რომ არ არის შესწავლილი საერთაშორისო შრომის ბაზარი და ასევე სუსტია ინტერნაციონალიზაციის მექანიზმი მიუხედავად იმისა, რომ ევროპის 8 ქვეყნის უმაღლესის სასწავლებელთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი (პროგრამის ფარგლებში 3 სტუდენტი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში) და შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში (ინტერნაციონალიზაციის შესახებ დეტალურად ვისაუბრებთ მეოთხე სტანდარტში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;

- სასწავლო უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული გეგმა http://sportuni.ge/multimedia/ups/gan_gegma.pdf
- შრომის ბაზრის კვლევა;
- სასწავლო უნივერსიტეტების ოფიციალური ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/ka/pages/23/?m=49
- ინტერვიურება დაწესებულების ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნის კორექტირება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის მიზანია საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელსაც ექნება უნარი ბიზნესის სფეროში წარმართოს მმართველობითი საქმიანობა თანამედროვე ცოდნისა და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სპორტის სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისათვის სპეციალისტების მომზადებაზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგნაირად არის კლასიფიცირებული: ცოდნა და გაცნობიერება,

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ როგორც მენეჯმენტის, ასევე სპორტის მენეჯმენტის მიმართულებით როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას ამ დასკვნის 2.2 და 2.3 კომპონენტებში დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი - ტესტები, ქვიზები, გამოცდები, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები, სასწავლო უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები, რაც დაეხმარება სასწავლო უნივერსიტეტს სწავლის შედეგების ანალიზში.

კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მიიღწეოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით და იყოს ასახული სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკა (წარმოდგენილი იყო ძველი დიზაინის მქონე დოკუმენტი) შეიცავდა გარკვეულ უზუსტობებს. აღნიშნული ბუნდოვანს ხდის, პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს თუ არა ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების შეფასება ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას.

ინტერვიუს პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტენსიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, კოორდინირებას კი უწევდა პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის სამსახური. (პროგრამის შემუშავების პროცესი ასახულია ოქმებში).

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია: სპორტის სფეროს სახელმწიფო მართვის ორგანოები; სპორტული ფედერაციები; სპორტული და ფიტნეს კლუბები; სხვადასხვა რანგის სპორტული გუნდები; სპორტული ფირმები, საწარმოები და დაწესებულებები; დასაქმების სფეროს ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ერთ კონკრეტულ სეგმენტზე გადის და პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგებიც სწორედ ამ სეგმენტისათვის სპეციალისტების მომზადებას ემსახურება.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური//მოწვეული პერსონალი, რაც შეეხება დამსაქმებლებს მათი ჩართულობა შედარებით სუსტი ოყო, როგორც პროგრამის შემუშავების ასევე სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. (დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით მომდევნო სტანდარტებში დეტალურად განვიხილავთ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- გასაუბრება დაინტერესებულ მხარეებთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი: http://sportuni.edu.ge/

რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რუკა და სამიზნე ნიშნულები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვთ აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ქართულ ენაში მომზადების საგანანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს, აღნიშული პროგრამის დასრულების შემდეგ. უცხო ქვეყნის მოქალაქის - ერთიან ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე, ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედგები; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი: sportuni.edu.ge ○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
• ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ,,საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #5 30 ოქტომბერი2015 წ). პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია მოიცავს ზოგად ინფორმაციას, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს, კრედიტების განაწილებას, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას. • ბიზნესისა ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, მათ შორის ზოგადი საგნების კურსი - 52 კრედიტი; საბაზისო - სავალდებულო საგნები (მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების საგნებს) - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის საგნები - 112 კრედიტი; არჩევითი სავალდებულო საგნები - 16 კრედიტი. • კერძოდ, ინგლისური ენა ისწავლება 4 სემესტრის განმავლობაში იწყება A1 დონით და სრულდება B2 დონით. პროგრამის ფარგლებში ისწავლება კალკულუსი 1 და 2. საინფორმაციო ტექნოლოგიები 1-2, აკადემიური წერა; ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი კურსები: ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ეკონომიკის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი, მენეჯერული აღრიცხვა; ასევე მენეჯმენტისა და სპორტის მენეჯმენტის სპეციალობის კურსები მენეჯმენტის საფუძვლები 1-2, კომუნიკაცია სპორის მენეჯმენტში, სპორტის სახელწმიფო მართვის საფუძვლები, ბიზნესი და სპორტი 1-2, სპორტის მარკეტინგი 1-2, სოციალური ფსიქოლოგია, სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა, ადამიანური რესურსების მართვა სპორტში 1-2, ფინანსებისა და ბიუჯეტის დაგეგმვა სპორტში -1-2, ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება, კვლევის მეთოდები, სოციოლოგიის საფუძვლები, ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში, სპორტული ინფრასტრუქტურის მართვა, სპორტული ღონისძიებების მართვა, პრაქტიკა სპეციალობაში, საბაკალავრო ნაშრომი. თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის გამდიდრება შესაძლებელია ისეთი საგნების დამატებით როგორიცაა: კორპორაციული ფინანსები,	

პროექტის მენეჯმენტი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ბიზნესი ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის", რომელიც იქნება რამდენიმე საგნის წინაპირობა, კერძოდ კვლევის მეთოდების. სტატისტიკა ისწავლება პროგრამის არჩევით ბლოკში. • პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; • პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. • გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, თუმცა დამსაქმებელთა ჩართულობის სისუსტე შეიმჩნეოდა. • უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ასევე ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. • პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, ქვემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: sportuni.edu.ge ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ოქმები; ○ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს მცირე ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების ,,კორპორაციული ფინანსებისა და პროექტის მენეჯმენტის დამატებით", ხოლო სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის" გადატანილ იქნას სავალდებულო ბლოკში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც 2.2 კომპონენტში აღვნიშნეთ ძირითადი სპეციალობის საგნები განისაზღვრა 112 კრედიტით (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი 20 კრედიტი და სასწავლო პრაქტიკა 10 კრედიტი). ზოგადი კურსები - 24 კრედიტი; საბაზისო კურსები - 60 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის საგნები - 112 კრედიტი. აქედან პრაქტიკა - 10 კრედიტი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომი -20 კრედიტი.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; თუმცა სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი მოსაზრება, კერძოდ სასწავლო კურსის ,,ფინანსური აღრიცხვა და სასწავლო კურსი ფინანსებისა და ბიუჯეტის დაგეგმვა ისწავლება მსგავსი ლიტერატურით, მაშინ როდესაც სრულიად განსხვავებული საგნებია. სასწავლო კურსის ,ადამიანური რესურსების მართვა სპორტში“ სილაბუსის შინაარსში არ ჩანს სპორტის ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მართალია, სილაბუსის ავტორი გასაუბრებისას აღნიშნავდა, რომ სპორტის სფეროდან კონკრეტული შემთხვევებს სთავაზობს სტუდენტებს, ამ მხრივ სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას სპორტის მენეჯმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს;

სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და დარგის აქტუალურ მიღწევებს, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული გამოყენებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას.

სასწავლო კურსის ,,სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა“ ძირითადი გამოყენებული ლიტერატურაა: ბიზნეს–პროექტების მართვის ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია – ე. თურქია თბ. 2010წ. საწარმოო მენეჯმენტი - ჟ. ორაგველიძე, თ. კილაძე,

ლ. ბოჭორიძე ტექნიკ.უნივერსიტეტი 2009წ., რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს და საჭიროებს შინაარსის შესაბამისი ლიტერატურით განახლებას.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის მიზანი, სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები, ხოლო დანართში მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესის ერთ-ერთი კომპონენტია ტექსტის ძირითადი ნაწილი, რომელშიც ასახულია ნაშრომის შინაარსი და მოიცავს თავებსა და ქვეთავებს. თუმცა, ეს ნაწილი საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას, კერძოდ კვლევის პროცესის განხორციელების თანმიმდევრობას, რომელიც იქნება დაფუძნებული კვლევის მეთოდების თანამედროვე სტანდარტებზე, რაც სტუდენტებს გაუადვილებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის კორექტირება სპორტის სფეროსადმი დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის მოდიფიკაცია, კვლევის მეთოდების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებით.
- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურის განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შინაარსობ-რივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ, კვლევით უნარებს უვითარებს. კერძოდ, განმავითარებელი კომპონენტის განხორციელების საშუალება სტუდენტს პროფესიული პრაქტიკის გავლით ეძლევა, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამაში 5 კრედიტი ეთმობა. პროფესიული პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები.

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს ჩაერთოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამის კვლევითი პროექტების განხორციელებაში. პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი. სტუდენტი კვლევას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახორციელებს. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

გასაუბრებიდან გამოვლინდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტების აქტიურობა სტუდენტურ კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
- კონფერენციის პროგრამა .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების საგანანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში ვკითხულობთ, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: **ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია.**

სწავლება-სწავლის მეთოდები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში. თუმცა, სილაბუსების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსი, მაგალითად მარკეტინგის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, სპორტის მენეჯმენტი, მოითხოვს პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებულ სწავლის მეთოდების გამოყენებას, კერძოდ, კონკრეტული სიტუაციების განხილვას, პროექტების მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლება-სწავლის მეთოდები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს ზოგიერთ სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. თუმცა, სტუდენტებს არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია ამ მექანიზმის მუშაობის შესახებ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. მარკეტინგის საფუძვლები, ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში) შუალედური და დასკვნითი გამოცდა ფასდება დახურული ტესტით, რაც სრულად ვერ იძლევა სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას, რიგ შემთხვევებში საჭიროა ამ მეთოდების უკეთ ინტეგრირება სწავლების პროცესში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ • სასწავლო კურსების სილაბუსები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://sportuni.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია და განემარტოთ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, შეფასების კონკრეტული მეთოდები განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკისა და გამოყენებული სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებიდან გამომდინარე, რომელთა შეფასების კრიტერიუმები იქნება ნათელი და გაწერილი სილაბუსში;
- რეკომენდებულია, ზოგიერთი საგნის შეფასების კომპონენტების დაზუსტება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,		√		

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა ახალია, ინტერვიუირება მოხდა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების. რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი: სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში; მაგრამ აქტიურად ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით, გაცვლითი პროგრამებით, ვერ იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კვლევებსა და კონფერენციებში. რაც გამოწვეულია უცხო ენის არასათანადო დონეზე ცოდნით ან მოტივაციის არქონით. ასევე სუსტია ინტერნაციონალიზაციის მექანიზმი მიუხედავად იმისა, რომ ევროპის 8 ქვეყნის უმაღლესის სასწავლებელთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი (პროგრამის ფარგლებში 3 სტუდენტი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში) და შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში (ინტერნაციონალიზაციის შესახებ დეტალურად ვისაუბრებთ მეოთხე სტანდარტში). აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ იციან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, სწავლის პერიოდში ამ შესაძლებლობით ხშირად უსარგებლიათ. უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების დატვირთვა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტ საიტიდან და სოციალური ქსელიდან. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები ვერ იღებენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რაც შემდგომში განაპირობებს პროფესიული ნიშნით დასაქმებულთა მცირე რაოდენობას. უსდ-ში არ არსებობს კარიერული ზრდის და დასაქმების სამსახური, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ მიიღონ კონსულტაციები კარიერის დაგეგმვასა და პროფესიული განვითარების შესახებ; ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროგრამა არის ახალი და ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება" • სასწავლო კურსების სილაბუსები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ სტუდენტებთან • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან • ელექტრონული პორტალი http://sportuni.ge
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა. • რეკომენდებულია შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			√	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენცია, შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. მათი შერჩევა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსის გზით.

როგორც სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, სასწავლო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კვალიფიციური კადრის მოზიდვას, რითაც სურს დანერგოს სწავლების თანამედროვე ხედვები და მიდგომები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მხრიდან უფრო მეტი პრაქტიკული ელემენტების შემოტანა იქნება საჭირო სწავლების დროს, რაზეც ყურადღება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამაც გაამახვილა. მათი აზრით მნიშვნელოვანია კადრების გადამზადება სპორტის მიმართულებით.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ამ დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროგრამაში გაწერილ სავალდებულო სასწავლო კურსებს უნდა უძღვებოდნენ ასწავლო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების არანაკლებ 50%-ისა. უზრუნველყოფილია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; კერძოდ: პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 22, პერსონალის აღნიშნული რაოდენობიდან 5 არის პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ -პროფესორი, 2 ასისტენტი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 11, მათგან 5 აფილირებული პროფესორი, 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 2 აფილირებული ასისტენტი, მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 11. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 11/11. პროგრამაზე ჯერ ჩარიცხული სტუდენტები არ არიან.

პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციურ პერსონალს. იგი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესს და ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე და მდგრადობაზე. პროგრამის შემუშავებისას მის მიერ გამოყენებული იყო ანალოგიური პროფილის პროგრამის მქონე მსოფლიოს უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკები. იგი ასევე მართავს პროგრამის განხორციელების და შეფასების პროცესებსაც, ზრუნავს პროგრამის განმახორციელებლი ადამიანური რესურსის მოძიებაზე. აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა ინფორმირებაში პროგრამის სპეციფიკის, სასწავლო კურსებისა და კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებში. ზრუნავს სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ ფუნქცია-მოვალეობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები
- პროგრამის განხორციელების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,

○ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები აკადემიური პერსონალის დანიშვნის შესახებ ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულებები და პირადი საქმე ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სასწავლო უნივერსიტეტის მიერ რეგულარულად ხდება პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი. უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის მიერ სწავლების კომპეტენციის შეფასებას სხვადასხვა კრიტერიუმებით. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა,

შეფასებისთვის იყენებენ შემდეგ მეთოდებს: თვითშეფასება, შეფასება კოლეგების მიერ, შეფასება სტუდენტების მიერ, სილაბუსების შემოწმება, დასწრება მეცადინეობაზე. შეფასება ხდება ასევე სტუდენტების მიერ სპეციალურად შემუშავებული ანკეტების მიხედვით. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც სისტემატიურად იმართება ღია ლექციები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, ტარდება ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ კონფერენციებში, აქვთ გამოცემული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები. 2015 წელს საქართველოს სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი გახდა მსოფლიო სპორტის უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რის შემდეგაც შედარებით გაიზარდა საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობა. თუმცა როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა, აკადემიური პერსონალი მაინც ნაკლებად არის ჩართული ასეთ აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის შეფასების სისტემა • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით; განხორციელებული ღონისძიებები; • სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები; • პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; • თვითშეფასების ანგარიში • მსოფლიოს სპორტის უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციასთან გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელოს ღონისძიებები აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის გაძლიერების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სწავლების პროცესში უფრო მეტი პრაქტიკული ელემენტების შემოტანის მიზნით აკადემიური პერსონალისთვის გადამზადება, სადაც გამახვილებული იქნება ყურადღება პრაქტიკულ კომპონენტებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სათანადო ინვენტარით და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი აუდიტორიები, საგამოცდო ცენტრი. ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ უნივერსიტეტში არსებობს ყველა პირობა, რომელიც საჭიროა სრულყოფილი და უსაფრთხო სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკით და წიგნადი ფონდით, რომელშიც თავმოყრილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონული ვერსიები). გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ წევრად და გააჩნია წვდომა შესაბამის ელექტრონულ რესურსებზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნოს შესაბამისი დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსის გამოყენების და მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კვალიფიციური

პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის პერსონალს ელექტრონულ სისტემაში აღრიცხვის ნაცვლად სტუდენტების მიერ წიგნებით სარგებლობის გატარება უწევთ სააღრიცხვო ბარათების მეშვეობით, რაც საკმაოდ მოუხერხებელია. სტუდენტთა ინფორმირებულობისა და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სისტემა, რომლითაც შესაბამისი უფლებებით სარგებლობენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. აღნიშნული სისტემით სტუდენტი ინფორმირებულია სასწავლო ცხრილის, გამოცდების გრაფიკის, სილაბუსების და სხვათა შესახებ. მისი საშუალებით ხდება აკადემიურ პერსონალთან კონტაქტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი • ინფრასტრუქტურის ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი • საერთაშირისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობის აღრიცხვის ფუნქციის რეალიზება არსებულ ელექტრონულ სისტემაში, რაც ჩაანაცვლებს შესაბამის სააღრიცხვო ბარათებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი ასახავს პროგრამის მხარდაჭერას ფინანსური რესურსით, რომლის გამოყოფა ეკონომიურად მიღწევადია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ნათელი წარმოდგენა მოგვცა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან და დგინდება ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაფინანსების წყაროები ○ უსდ-ს ბიუჯეტი ○ 2018 წლის პროგრამის ბიუჯეტი ○ პროგრამის თვითშეგასების ანგარიში ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს“ პრინციპით მუშაობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია აკადემიური პროცესის, სილაბუსების, აკადემიური პერსონალის, კურუკულუმის მონიტორინგზე. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: 1. თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა; 2. პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; 3. აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ ლექციებზე ურთიერთდასწრების პროცესი ნებაყოფილობითია. შესაბამისად, სასურველია სწავლების პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით იგი სისტემურად იყოს ორგანიზებული. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა კითხვარები და ფორმები, მაგალითად, კითხვარი სტუდენტებისათვის - რომლის საშუალებითაც ხდება ლექტორების შეფასება, თვითშეფასების კითხვარი ლექტორებისათვის, სტუდენტთა კითხვარი აკადემიური პროგრამის შესაფასებლად, პროგრამის შეფასების კითხვარი, კითხვარი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზისათვის, კითხვარი კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებელთა კითხვარი, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მიღებული შედეგების გაანალიზებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და წესები; • ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; • ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: • შიდა ხარისხის ეფექტიანად უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია სტუდენტთა გამოკითხვა განხორციელდეს ელექტრონულად, რაც ხელს შეუწყობს როგორც ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების დაჩქარებას, ასევე, გადაწყვეტილებების დროულად მიღების პროცესს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით მოხდეს არსებული კითხვარების გადახედვა და დახვეწა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განსაზღვრულია გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები, პროცედურები და განხორციელების წესები. სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დროს ხორციელდება თვითშეფასებით და საავტორიზაციო თუ სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება, ექსპერტთა მიერ ფორმულირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რომლის შედეგები იკრიბება, ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელიც კონტექსტუალურად საშუალებას იძლევა მოხდეს იმ ინფორმაციის შეგროვება, რომელიც აუცილებელია პროგრამის მონიტორინგისათვის და შემდგომი განვითარებისათვის. აკრედიტაციის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენამდე დაწესებულების მხრიდან გატარებულ იქნა რიგი ღონისძიებები, კერძოდ განხორციელდა საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება, გაანალიზდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ სასწავლო უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუს შედეგები ხარისხის სამსახურის წარმომადგნელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			√	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა, დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა, მერაბ ხოხობაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა, მაია ჭინჭარაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა, ნიკა კიკნაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა